


სექტორის მიმოხილვა


სოფლის მეურნეობის სექტორი 2021 წელს

2022 წლის ივნისში საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამოაქვეყნა წლიური გამოცემა სოფლის მეურნეობის სექტორის შესახებ – „საქართველოს სოფლის მეურნეობა 2021“. გამოცემის თანახმად, სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის და მეთევზეობის გამოშვებამ 2021 წელს მშპ-ის 7% შეადგინა. ეს მაჩვენებელი 2020 წლის მაჩვენებელზე ნაკლებია (8.3%), თუმცა შეესაბამება გასული წლების ზოგად ტენდენციას (სოფლის მეურნეობის მშპ მთლიანი მშპ-ის 7-8%-ს შეადგენს). გარდა ამისა, 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, სოფლის მეურნეობის სექტორის მშპ-ის რეალური მაჩვენებელი 1.4%-ით შემცირდა. ეს შესაძლოა ე.წ. „საბაზისო ეფექტი“ აიხსნას იმდენად, რამდენადაც მოსავლიანობის კუთხით 2020 წელი ძალიან კარგი წელი იყო, რამაც სოფლის მეურნეობაში წარმოების ზრდა გამოიწვია. 2021 წელს ერთწლიანი ბალახების წარმოება 58%-ით გაიზარდა, კარტოფილის – 12%-ით, მზესუმზირის – 11%-ით, მარცვლეულის – 6%-ით. სამაგიეროდ, ლობიოს წარმოება 19%-ით შემცირდა, მრავალწლიანი ბალახების – 18%-ით, ბოსტნეულის – 15%-ით, ბაღჩეულის – 7%-ით.

მშპ სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში 2015 წლის ფასებში, (მლნ. ლარი)




ერთწლიანი კულტურების წარმოება (ათასი ტონა)




2021 წელს, წინა წელთან შედარებით, ყველა მრავალწლოვანი კულტურის წარმოება გაიზარდა, გარდა თესლოვანი ხილისა და ყურძნისა. ყველაზე მეტად (48%) კენკრის წარმოება გაიზარდა, ხოლო თესლოვანი ხილის (ვაშლი, ატამი, კომში) წარმოება 15%-ით შემცირდა. რაც შეეხება მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებას, ხორცის და მატყლის წარმოება 5%-ით გაიზარდა, რძის – 3%-ით, თუმცა კვერცხის წარმოება 3%-ით, თაფლისა კი 17%-ით შემცირდა.

მრავალწლოვანი კულტურების წარმოება (ათასი ტონა)




მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება



წყარო: საქსტატი, 2022 წელი

რაც შეეხება თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტებს, 2021 წელს ხორბლის კოეფიციენტი, რომელიც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 15%-ს შეადგენდა, 22%-მდე გაიზარდა. 2020 წელს სიმინდის წარმოების შემცირების შემდეგ, რამაც თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტის 68%-მდე შემცირება განაპირობა, 2021 წელს ეს მაჩვენებელი 74%-მდე გაიზარდა. მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება ყურძნისა (28 პროცენტული პუნქტი) და კარტოფილის 23 პროცენტული პუნქტი) შემთხვევაში. გაიზარდა ცხვრისა და თხის ხორცის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტებიც (8 პროცენტული პუნქტი), ბოსტნეულისა და ღორის ხორცის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი კი ოდნავ შემცირდა. მთლიანობაში ხორცის კოეფიციენტი უმნიშვნელოდ გაიზარდა. სხვა მაჩვენებლები ფაქტობრივად არ შეცვლილა.





წყარო: საქსტატი, 2022

ფასების მიმოხილვა

ადგილობრივი ფასები

2022 წლის მარტ-მაისის თვეებში ქვეყანაში ფასები თვიურ ჭრილში იზრდებოდა. სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) 2022 წლის მარტში თებერვალთან შედარებით 2.5%-ით გაიზარდა. 2022 წლის აპრილში ფასები 1.8%-ით გაიზარდა. 2022 წლის მაისში კი სამომხმარებლო ფასები წინა თვესთან შედარებით უმნიშვნელოდ, 1.1%-ით გაიზარდა.

2022 წლის მარტ-მაისის თვეებში სურსათისა და უაღკოპოლო სასმელების ჯგუფში ფასები იზრდებოდა. 2022 წლის მარტში, წინა თვესთან შედარებით, სურსათის ფასების ინდექსი (FPI) 2.0%-ით გაიზარდა. აპრილში სურსათის ფასები თვიურ ჭრილში 3.3%-ით, მაისში კი 0.8%-ით გაიზარდა.




წყარო: საქსტატი, 2022. შენიშვნა: წინა თვის ინდექსის მაჩვენებელი 100 იყო.

2022 წლის მარტ-მაისის თვეებში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) წლიურ ჭრილში ზრდას განაგრძობდა. ამ წლის მარტში, წინა წლის მარტთან შედარებით, CPI 11.8%-ით გაიზარდა; აპრილის თვის ზრდამ 12.8% შეადგინა, მაისის თვისამ – 13.3%.

2022 წლის მაისში, საკვების და არა ალკოჰოლური სასმელების ფასების წლიური მაჩვენებელი 22%-ით გაიზარდა, რაც CPI-ს ზრდის მთლიანი მაჩვენებლის 6.88 პროცენტს შეადგენს. ძირითადად, შემდეგ ქვეჯგუფებში შემავალი პროდუქტები გაძვირდა:

სამომხმარებლო ფასებისა და სურსათის ფასების ინდექსების წლიური ცვლილება



ბოსტნეული და ბაღჩეული (51.1%^ა)

პური და პურპროდუქტები (34.5%^ა)



მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (23.5%^ა)


უფრო ვრცლად ბოსტნეულის ფასებზე

2022 წელს მარტ-მაისის თვეებში, ბოსტნეულის ფასები იზრდებოდა. ამ წლის მარტში ბოსტნეულის ფასები წლიურ ჭრილში 27%-ით გაიზარდა, აპრილში კი – 46.2%-ით. 2022 წლის მაისში ბოსტნეულის ფასების ზრდის მაჩვენებელმა მოცემულ პერიოდში უმაღლეს ნიშნულს მიაღწია (51.1%). საქსტატის მონაცემებით, 2022 წლის მაისში ფასები გაიზარდა ბოსტნეულის კატეგორიაში შემავალ ყველა პროდუქტზე. ყველაზე მეტად გაძვირდა კომბოსტო (297%) და კიტრი (110%). ბოსტნეულის ფასების ასეთი მკვეთრი ზრდა შეიძლება გამოწვეული იყოს შემცირებული წარმოებით ან საერთაშორისო ბაზრებზე არსებული ტენდენციებით, რომელიც წარმოების შემცირების მოლოდინებით, სურსათის გაზრდილი ფასებით, ნედლი ნავთობის ფასების ზრდითა და შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე მოვლენებით არის განპირობებული, რაც რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრამ გამოიწვია.

2022 წლის მარტ-მაისის პერიოდში ექსპორტირებული ბოსტნეულის ღირებულებამ 6.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2020 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე 23%-ით ნაკლებია (8.8 მლნ. აშშ დოლარი). ამავდროულად, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მკვეთრად (39%-ით) გაიზარდა იმპორტირებული ბოსტნეულის ღირებულება (12.1 მლნ. აშშ დოლარიდან 16.9 მლნ. აშშ დოლარამდე). იმპორტის ზრდა და ექსპორტის შემცირება შესაძლოა ბოსტნეულის შიდა წარმოების შემცირებაზე მიგვანიშნებდეს.

მიუხედავად იმისა, რომ 2022 წლის გაზაფხულის ადგილობრივი წარმოების სტატისტიკა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის, საინტერესოა საქსტატის უახლესი პუბლიკაცია სოფლის მეურნეობის სექტორის შესახებ – „საქართველოს სოფლის მეურნეობა 2021“. 2021 წელს ბოსტნეულის წარმოება 15%-ით შემცირდა: 176.1 ათასი ტონიდან 149 ათას ტონამდე. 2021 წელს 7%-ით შემცირდა ბოსტნეულის საშუალო მოსავლიანობაც (11.1 ტონიდან 10.3 ტონამდე ჰექტარზე). შიდა წარმოებისა და მოსავლიანობის ასეთმა შემცირებამ 2021 წელს ბოსტნეულის ფასების ზრდა და, სავარაუდოდ, 2022 წლის პირველ ნახევარში იმპორტის ზრდა განაპირობა. შედეგად კი ბოსტნეულის ფასები გაიზარდა.


ბოსტნეულის კატეგორიაში წლიური ფასების ცვლილება (მარტი-მაისი, 2022)



წყარო: საქსტატი, 2022

საერთაშორისო ფასები

2022 წლის მარტ-მაისის პერიოდში საერთაშორისო ბაზრებზე წლიურ ჭრილში სურსათის ფასების ზრდის ტენდენცია შეინიშნებოდა. 2022 წლის მარტში სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სურსათის ფასების ინდექსი მკვეთრად (34%-ით) გაიზარდა 2021 წლის მარტთან შედარებით და ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია. 2022 წლის აპრილში სურსათის ფასები 29.7%-ით გაიზარდა, მაისში – 22.8%-ით. მაისში ფასების ყველაზე დიდი ზრდა მცენარეული ზეთისა (31%) და მარცვლეულის (30%) ფასების შემთხვევაში დაფიქსირდა. მცენარეული ზეთის ფასის ასეთი მკვეთრი ზრდა შავი ზღვის რეგიონში შეფერხებებითა და ლოგისტიკური დაბრკოლებებით იყო განპირობებული. მარცვლეულის ფასების მკვეთრი ზრდა გამოწვეული იყო ხორბლის ფასის ზრდით, რაც, თავის მხრივ, წამყვან ექსპორტიორ ქვეყნებში არსებული საექსპორტო შეზღუდვებითა და მიმდინარე ომის გამო უკრაინაში შემცირებული წარმოებით იყო გამოწვეული.





წყარო: FAO, 2022

საერთაშორისო ვაჭრობა


საქართველოს მთლიანი ექსპორტი ზრდის ტენდენციას ინარჩუნებს: 2022 წლის იანვარ-მაისის პერიოდში, 2021 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, მთლიანი ექსპორტი 38%-ით გაიზარდა (1,536 მლნ-დან 2,112 მლნ. აშშ დოლარამდე). თუმცა აგრო-სასურსათო პროდუქტების ექსპორტის მაჩვენებელი უმნიშვნელოდ გაიზარდა, ამიტომ მას საერთო ზრდაში მნიშვნელოვანი წილი არ უჭირავს. აღნიშნულ პერიოდში აგრო-სასურსათო პროდუქტების ექსპორტი 396 მლნ. აშშ დოლარიდან 400 მლნ აშშ დოლარამდე (1%), ხოლო შესაბამისი წილი მთლიან ექსპორტში 26%-დან 19%-მდე შემცირდა. ეს შესაძლოა იმით აიხსნას, რომ ეკონომიკის სხვა სექტორები პანდემიის შემდგომ აღდგა (მთლიანი ექსპორტი გაიზარდა), შესაბამისად, აგრო-სასურსათო პროდუქტების ექსპორტის წილი შემცირდა.

2022 წლის იანვარ-მაისის პერიოდში მთლიანი იმპორტი 37%-ით გაიზარდა, 3,512 მლნ. აშშ დოლარიდან 4,822 მლნ. აშშ დოლარამდე. აღნიშნულ პერიოდში აგრო-სასურსათო პროდუქტების იმპორტის მაჩვენებელი 27%-ით გაიზარდა და 631 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, რაც მნიშვნელოვნად აღემატება წინა წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელს (498 მლნ. აშშ დოლარი). თითქმის არ შეცვლილა აგრო-სასურსათო პროდუქტების წილი მთლიან იმპორტში (2021 წელს არსებული 14%-დან 2022 წელს 13%-მდე შემცირდა). მთლიანობაში, წლის დასაწყისიდან დაწყებული დადებითი ტენდენცია გრძელდება და, იმედია, მთელი წლის განმავლობაში შენარჩუნდება.



ტრადიციულად, ყველაზე მოთხოვნადი საექსპორტო აგრო-სასურსათო პროდუქტი ახალი ყურძნის ღვინოა, რომლის ექსპორტის ღირებულებამაც 2022 წლის იანვარ-მაისის პერიოდში 80 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი აგრო-სასურსათო პროდუქტების ექსპორტის 20%-ს შეადგენს. მინერალური წყლებისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტმა 41 და 40 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, თითოეული მათგანის შესაბამისი წილი მთლიან აგრო-სასურსათო ექსპორტში კი 10%-ს უტოლდება. თხილის და სხვა კაკლის ექსპორტის ღირებულებამ 35 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (9%), ხოლო შაქრის დანამატიანი წყლების – 23 მლნ. აშშ დოლარი (6%).

ტოპ 5 საექსპორტო აგრო პროდუქტი იანვარი-მაისი, 2022 (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი, 2022

შენიშვნა: აგრო ექსპორტი მოიცავს სურსათის ექსპორტსაც.

პოლიტიკის მიმოხილვა

საქართველოს მთავრობა სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრეებზე სუბსიდირებას გასცემს

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მთავრობა ფერმერებს აგრო ბარათებზე ქულების გაცემით სუბსიდირებას უწევს. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრის სუბსიდია ჰექტარზე 300 ლარით განისაზღვრა (აგრო ბარათზე დარიცხული 300 ქულა). პროგრამის ფარგლებში მიწის მესაკუთრეები ან თანამფლობელები იღებენ სუბსიდებს 0,25 ჰექტარიდან 1,25 ჰა-მდე საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებისთვის. ამ ქულების გამოყენება შესაძლებელია სპეციალიზებულ მაღაზიებში სასოფლო-სამეურნეო საქონლის, ჰერბიციდების, პესტიციდების, სათესლე მასალის, სასოფლო-სამეურნეო ხელსაწყოების შესაძენად და ა.შ.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ბმულს: <http://mepa.gov.ge/Ge/News/Details/20836>

საქართველოს მთავრობამ საქართველოს ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შესახებ დებულება დაამტკიცა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, საერთაშორისო ექსპერტებთან თანამშრომლობით, შემუშავდა საქართველოს ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმები და ინდიკატორების (C&I) დოკუმენტი, რომლის მიზანია საქართველოში ტყეების მდგომარეობის, მართვის ხარისხისა და მდგრადობის შესახებ ანგარიშგების სამართლებრივი ინსტრუმენტების შექმნა. ტყის მდგრადი მართვის ეს ეროვნული კრიტერიუმები და ინდიკატორები შემუშავდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, პროექტ „ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიაში (IBiS)“ ფარგლებში.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ბმულს: <http://mepa.gov.ge/Ge/News/Details/20822>

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების
კვლევითი ცენტრი

ავტორები: სალომე დეისაძე s.deisadze@iset.ge
ელენე სეთურიძე elene.seturidze@iset.ge
სალომე გელაშვილი: s.gelashvili@iset.ge